საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის **№85** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 26 ივნისის **№85** სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის წევრის, პროფ. ნოდარ ქაჯაიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

სენატმა დაადგინა: პროფ. ნოდარ ქაჯაიას გარდაცვალების გამო შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 26 ივნისის №85 სხდომაზე სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიგა ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაზაზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სოფლის მდგრადი განვითარების სასწავლო-საექსტენციო-საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მაისის დადგენილება №1544.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაზაზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სოფლის მდგრადი განვითარების სასწავლო-საექსტენციო-საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **26** ივნისის **№85** სხდომაზე სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიგა ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაზაზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „მეცხოველეობის სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მაისის დადგენილება №1545.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაზაზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „მეცხოველეობის სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 26 ივნისის **№85** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილება, კერძოდ:

1. მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილება გარდაიქმნას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტად. განყოფილების უფროსის საშტატო ერთეული გადაკეთდეს დეპარტამენტის უფროსის საშტატო ერთეულად ყოველთვიური ანაზღაურებით 1800 ლარი, ნაცვლად 1000 ლარისა;
2. სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილებას მოაკლდეს მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული და დაემატოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტს;
3. აღნიშნული არ იწვევს ცვლილებებს საშტატო ერთეულების რაოდენობის თვალსაზრისით, რაც შეეხება ფინანსურ ცვლილებას, მიმდინარე წლის ბოლომდე სახელფასო ფონდის მატება 4.800 ლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნული თანხა (4.800 ლარი) ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის კონფერენციების, სესიების, ყრილობების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯების მუხლიდან გადატანილ იქნეს იმავე ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში მოიჯარეების იჯარის საფასურისაგან გათავისუფლების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში იჯარის საფასურისაგან გაათავისუფლოს ის მოიჯარეები, რომლებსაც იჯარით გადაცემული აქვთ სტუ-ის მე-6 სასწავლო კორპუსში განთავსებული ფართობები, კერძოდ:

- ფ.პ გოჩა დალაქიშვილი;
- ფ.პ სტეფანე აბრამიანი;
- ფ.პ ტატიანა ბითაძე (2 იჯარის ხელშეკრულება);
- ფ.პ ნარგიზ ტოგონიძე (2 იჯარის ხელშეკრულება);
- შპს ფან სტიკერები.

წარმოდგენილი მოიჯარეების საიჯარო გადასახადი თვეში 4 181 ლარს შეადგენს, ვალუტის დღევანდელი კურსის გათვალისწინებით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის VI სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 20 m^2 ფართობის იჯარით გაცემის საკითხი, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 4 წლით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 26 ივნისის №85 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის **2015** წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. 2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული №412-2015-2 ხელშეკრულების თანახმად, 2015 წლის ივნისში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შიგასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი „ეკოკემპინგების ფრანჩაიზინგული ქსელის ბიზნესგეგმის შექმნა“ დაფინანსდა 6 000 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის – სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

2. საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის დებულების შესაბამისად და 2015 წლის 7 ივნისს გაფორმებული №4/GEA 7290115104/pp 2014-15 ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმებულია, ერთი მხრივ, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიასა და, მეორე მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, ტექნიკური უნივერსიტეტის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხულია 17 000 დოლარი, ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 37 660 ლარი (პროექტის ხელმძღვანელი სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსი ზ. ცირამუა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილის გრანტების გრაფა გაიზარდოს 37 660 ლარით; ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს: 24 750 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 12 910 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში;

3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აიოვას უნივერსიტეტის „ამერიკულ-ქართული აგრარული საბაკალავრო პროგრამების“ პროექტის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები: მივლინების ხარჯი შემცირდეს 4 790 ლარით და დაემატოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს; წარმომადგენლობითი ხარჯები შემცირდეს 10 183 ლარით, საიდანაც 8 681 ლარი დაემატოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს, ხოლო 1 502 ლარი – ვალდებულებების კლების მუხლს; სხვა ხარჯების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები შემცირდეს 359 ლარით, რომლითაც გაიზარდოს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში; არაფინანსური აქტივების მუხლის სხვა მანქანა-დანადგარები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული შემცირდეს 7 100 ლარით, საიდანაც 6 618 ლარით გაიზარდოს ვალდებულებების კლების მუხლი; ხოლო 482 ლარით – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში;

4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის – საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში 5 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში. ასევე, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებიდან 5 748 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში;

5. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის – ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებიდან 20 000 ლარი და წყლის ხარჯიდან 23 628 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში; ასევე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 12 990 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის – ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 18 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

7. სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 100 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

8. ბატონ ჯ. ლეჟავას მემორიალის შექმნასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის – კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯებიდან 3 950 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლში;

9. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მის მოიჯარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების საიჯარო ქირა განსაზღვრულია აშშ-ის დოლარის კურსით ეროვნულ ვალუტაში და რომ ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის მაჩვენებელი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაიზარდა, შევიდეს ცვლილება სტუ-ის ეკონომიკურ საქმიანობასა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ: იჯარიდან შემოსულობები გაიზარდოს 50 000 ლარით და ნაცვლად 339 602 ლარისა განისაზღვროს 389 602 ლარით (ზრდის მაჩვენებელში გათვალისწინებულია სენატის №85 სხდომის №5 დადგენილებაში მოცემული შემცირება 4 181 ლარის მოცულობით, ასევე მაჩვენებლის ზრდა გათვლილია მიმდინარე წლის მეორე ნახევარზე).

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 26 ივნისის №85 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი თბილისის მერიის შესაბამის ფონდში სტიქიით დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად თანხის გადარიცხვის შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას საპრიზო თანხა 2 000 ლარი, რომელიც „სტუდენტური დღეები 2015”-ის გამარჯვებულ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადმოერიცხა ანგარიშზე გენერალური სპონსორ „მაგთიკომის” მიერ, მთლიანად გადარიცხოს თბილისის მერიის შესაბამის ფონდში სტიქიით დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე